ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 8 იანვრის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის N69. 69231843 განკარგულების „ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ“ შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია .

მომხს: პავლე კიკალიშვილი

2. 2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

თანამომხს: პეტრე შარიქაძე

3. მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

4. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 08 იანვრის მორიგი სხდომის

ოქმი N1

2024 წლის 08 იანვარი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი დავით კიკნაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინე ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, იამზე პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, სულ საკრებულოს 24 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

დავით დევდარიანი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

პეტრე შარიქაძე მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

კახაბერ გოლუბიანი მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,

ნინო თხელიძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში,

ივანე ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

ზაალ ორბელაძე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძეა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

ა. ნიქაბაძე ა (ა) ი, პ. მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის თანამშრომელი,

ნ. კაპანაძე გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,

სულიკო გლუნჩაძე ოპერატორი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის შემდეგი დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის N69. 69231843 განკარგულების „ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020-2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ“ შესრულების მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია .

მომხს: პავლე კიკალიშვილი

ვარლამ ჭიპაშვილი

2. 2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია

მომხს: ბესიკ კვირიკაშვილი

თანამომხს: პეტრე შარიქაძე

3. მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

4. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 24 წევრი.

მომხრე 24

წინააღმდეგი

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 3 ივლისის N69. 69231843 განკარგულების „ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ 2020- 2021 წლებში მუნიციპალიტეტების წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსებისა და სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული

შესყიდვების შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის განხილვის შესახებ“ შესრულების მდგომარეობის თაობაზე „ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად კენჭის ყრის გარეშე (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე „2023 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი და სხვადასხვა ფონდებიდან დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მდგომარეობის შესახებ“ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც კითხვით მიმართა მომხსენებელს2023 წელს სარგვეშის ადმინისტრაციულ ერთეულში წყლის სისტემის მოსაწყობად გამოყოფილი იყო თანხა, რომელიც გადავიტანეთ სხვა მიმართულებით, რა იქნება წელს? ეს თანხა კვლავ მიეცემა თუ არა 2024 წელს სარგვეშს კვლავ ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ ვინაიდან ტენდერი ვერ შედგა წლის ბოლოს თანხის დაკარგვის საფრთხე შეიქმნა, ამიტომ მოვახდინეთ თანხის გადაადგილება სხვა პროექტზე. ვმუშაობთ მაგ საკითხზე.

ვ. ოდიკაძემ საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ უხვმა ნალექმა დააზიანა ზედუბნის ხილი და დიდვაკეში მოსახლის სახლის მახლობლად ჩამოვარდა დიდი ლოდი, რომლის გადატანაში გვინდა დახმარება

დ. ხაჩიძემ საკრებულოს წევრმა დასვა შეკითხვა, როდის გამოცხადდება ტენდერი ხევის მუნიციპალურ ტრანსპორტზე და წაქვაზე

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ ტენდერი უკვე გამოცხადებულია.

კ. ბერაძემ უხვმა ნალექმა ხიდარში ჩაანგრია ხიდ ბოგირი ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე

პ. შარიქაძემ მომხსენებელმა უპასუხა, რომ ვმუშაობთ მაგ საკითხზე, დროებით თუ გაკეთდება რამე თუ არადა სტიქიით უნდა გაკეთდეს .

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

საკრებულომ განკარგულება მიიღო ცნობად კენჭის ყრის გარეშე (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვ. ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ მდგრადი განვითარების მიზნების ხარაგაულის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“(თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი,

მომხრე 24

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით შეკითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 24 წევრი,

მომხრე 24

წინააღმდეგი

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი **დავით კიკნაძე**